# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 107

ქალაქი ქუთაისი 28 ოქტომბერი 2026 წელი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2026 წლის 12 ოქტომბრის №3 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2026 წლის 12 ოქტომბრის №11 ოქმის საფუძველზე:

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 25 მარტის №63 განკარგულებაში, კერძოდ:

1. შეიცვალოს განკარგულების სათაური და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე, თანხმობის გაცემის შესახებ“.

2. შეიცვალოს განკარგულების პირველი მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„მუხლი 1.** გაიცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლისათვის“ სახელის გადარქმევისა და მისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქუთაისის №1 კლასიკური გიმნაზიის“ სახელის მინიჭების თაობაზე.“.

**მუხლი 2.** წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №1 საჯარო სკოლის“ სამეურვეო საბჭოს.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ჭილვარია

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
გას № 107
30.10.2026

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე